

ევროპის საპარლამენტო ასამბლეა. რეზოლუცია 1687 (2009). რუსეთის დელეგაციის ადრე დამტკიცებულ უფლებამოსილებათა არსებითი საფუძვლების გადასინჯვა (ასამბლეის რეგლამენტის (პროცედურების წესი) მე-9 მუხლი)

1. 2009 წლის 11 სექტემბერს ასამბლეის 72-მა წევრმა წარმოადგინა მიმართვა მოთხოვნით, საპარლამენტო ასამბლეის რეგლამენტის მე-9 მუხლის 1ა პუნქტის შესაბამისად არსებითი საფუძვლების მიხედვით გადაესინჯათ რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილება რუსეთის მიერ ასამბლეის 1633 (2008) და 1647 (2009) რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებების დიდი ხნის განმავლობაში შეუსრულებლობასთან, აგრეთვე ასამბლეის მიერ წარმოებული მონიტორინგის პროცედურებში ფარგლებში თანამშრომლობის სურვილის არქონასთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია ასამბლეის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 ბ პუნქტში. კერძოდ, მიმართვის ავტორებმა აღნიშნეს, რომ რუსეთმა “არა მხოლოდ არ შეასრულა საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული 1633 (2008) და 1647 (2009) რეზოლუციების მოთხოვნები”, არამედ “გადადგა ნაბიჯები, რომლებიც კიდევ უფრო აშორებენ მას თავისი ვალდებულებების შესრულებისაგან”.

2. ასამბლეა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომი რუსეთსა და საქართველოს შორის თავისთავად არის უხეში დარღვევა ევროპის საბჭოს წესდების, აგრეთვე ორივე მხარის მიერ შესვლის დროს ნაკისრი კონკრეტული მოვალეობებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც ორივე მხარემ შესვლის დროს იკისრა (რეზოლუცია 1631 (2008)). ამიტომ თავის 1633 (2008) და 1647 (2009) რეზოლუციებში ასამბლეამ ჩამოაყალიბა რიგი კონკრეტული მოთხოვნები როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიმართ, რომლებიც თავისი ერთობლიობით ქმნიან ორივე ქვეყნისთვის, აგრეთვე თავად ასამბლეისთვის მიუკერძოებელ და გამჭვირვალე საგზაო რუკას ომის შედეგების სალიკვიდაციოდ.

3. სწორედ ორივე ქვეყნის ზემოთ ნახსენები მოთხოვნების შესრულება გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასამბლეამ შარშან განიხილა. სამწუხაროდ, ასამბლეამ დაასკვნა, გამოიტანა დასკვნა, რომ ომიდან ერთი წლის შემდეგ რუსეთს მისი ძირითადი მოთხოვნების დიდი ნაწილი არ შეუსრულებია.

4. მაგრამ ასამბლეა აგრეთვე მიიჩნევს, რომ ასეთ რთულ სიტუაციაში, როცა საუბარია ომის შედეგებზე, განსაკუთრებით იმ წინააღმდეგობის ფონზე, რაც ნარჩუნდება ომის დაწყების კონკრეტულ გარემოებათა მიმართ, მისი მოთხოვნების შესრულება დადგენილ მკაცრ ვადებში შეიძლება ადვილი არ ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით ასამბლეა აღნიშნავს, რომ 2008 წლის 30 სექტემბერს, ოთხშაბათს, გამოდის ევროკავშირის მიერ შექმნილი საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის მიზეზებისა და მიმდინარეობისას ფაქტების გამოძიების საერთაშორისო მისიის მოხსენება. ასამბლეა შეახსენებს, რომ მტკიცედ აქვს განზრახული დაუბრუნდეს ამ საკითხს მას შემდეგ, რაც ფაქტების გამოძიების მისია წარმოადგენს თავის მოხსენებას.

5. წუხს რა, რომ რუსეთის დელეგაციის წევრები საჯაროდ გამოვიდნენ რუსეთის მიერ ასამბლეის მოთხოვნათა შესრულების წინააღმდეგ, ასამბლეა აღიარებს, რომ მისი მოთხოვნები მიმართულია რუსეთის ხელისუფლებისადმი, რომლის პოლიტიკა არ არის ჩვენს ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის წევრთა ხელში. უფრო მეტიც, ასამბლეა წინანდებურად, კვლავ დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტი დიალოგის დაწესება, გამართვა რუსეთსა და საქართველოს და ასამბლეასა და ორივე სახელმწიფოს საპარლამენტო დელეგაციებს შორის არის ერთადერთი გზა არცთუ შორეულ მომავალში კონფლიქტის გადაწყვეტისა და რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფისა.

6. ამიტომ ასამბლეა, მიუხედავად რუსეთის მიერ მის მოთხოვნათა დიდი ნაწილის, უმეტესობის შეუსრულებლობისა, ადგენს დაადასტუროს რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილებანი იმ გაგებით, რომ ეს საშუალებას მისცემს რუსეთის ხელისუფლებას დაიწყოს სერიოზული კონსტრუქციული დიალოგი ყველა იმ საკითხის გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგებზე მიღებულ ასამბლეის რეზოლუციებშია მოხსენიებული.

7. ასამბლეას აუცილებლობად მიაჩნია, ჩამოაყალიბოს ურთიერთპატივისცემის კულტურა, როცა მხარეები, რომლებიც, შეიძლება, არ ეთანხმებიან ერთმანეთს, თავის მოვალეობად მიიჩნევენ დაიწყონ დიალოგი იმისათვის, რომ გაარკვიონ უთანხმოება და განაცხადონ მზადყოფნა ურთიერთმისაღები კომპრომისებისათვის. ასეთი ახსნა-განმარტებები ხელს შეუწყობდა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, ამასთან უთანხმოების გადალახვის გზაზე გადადგმულ ნაბიჯადაც იქცეოდა.

8. ასამბლეა ხაზს უსვამს, თავის გადაწყვეტილებას, გაააქტიუროს მონიტორინგის პროცესი რუსეთის მიმართ, მათ შორის იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ფორმულირებულია მის რეზოლუციებში რუსეთსა და საქართველოს შორის ომის შედეგების შესახებ და ამ კონტექსტში შეიმუშაოს მითითებულ კონკრეტულ ვადებში ამ მოთხოვნათა შესრულების კონკრეტული საგზაო რუკა.

2009 წლის 1 ოქტომბერი

http://www.coe.int/T/r/Parliamentary_Assembly/%5bRussian_documents/sakuTari_Tarqmani